



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო  
(ს/კ:205263873)

ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო  
საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის  
მეშვეობით

კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით  
საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“  
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით  
დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე

ქ. თბილისი, 2014 წელი

## საკონკურსო პირობები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **40 000 (ორმოცი ათასი) ლარს**.

დაფინანსების წყარო: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთარი შემოსავლები.

1. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

1.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

1.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო პირობების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, ასევე საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარდგენიდან გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ან კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი დასრულდა უაყოფითი შედეგით“ მინიჭებამდე.

5. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) კონკურსანტის მიერ.

6. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

7. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ **2015 წლის 5 იანვრის 10:00 საათიდან 2015 წლის 10 იანვრის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი.**

8. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება **2015 წლის 10 იანვარს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ.**

9. საკონკურსო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს, როგორც საპროექტო მომსახურების ღირებულებას, ასევე საპროექტო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით კონკურსანტის მიერ გასაწევს ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს. ასევე უნდა მოიცავდეს ამ საკონკურსო პირობების საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ექსპერტის დასკვნის მოსამზადებლად აუცილებელ ხარჯებს.

10. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, არ განიხილება.

11. საკონკურსო წინადადება, რომლის მიხედვით ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება აღემატება ამ საკონკურსო პირობების მე-15 პუნქტით განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებას, არ განიხილება.
12. კონსურსში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება საპროექტო მომსახურების სფეროში;
13. კონსურსში მონაწილეობის მსურველ პირს შესრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 5 სრული საპროექტო მომსახურება, რომელიც უნდა იყოს განხორციელებული;
14. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, შესრულებული არანაკლებ 5 საპროექტო მომსახურება (ამ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი საპროექტო მომსახურების ანალოგიური), რომელიც უნდა იყოს განხორციელებული პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელს ექნება სუბკონტრაქტორის შეცვლის სურვილი, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს შემსყიდველს და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს სუბკონტრაქტორის ცვლილება;
15. **ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარს.**
16. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ჯამურ ღირებულებას;
17. აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიმართოს მიმწოდებელს პროექტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს პროექტში შემსყიდველის მიერ მითითებული ცვლილებების შეტანა, იმ შემთხვევაში თუ ამ ცვლილებებით სამშენებლო სამუშაოების ღირებულება არ აღემატება თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებას 10%-ზე მეტით. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეცვლილი საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის აუცილებლობისას, ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას განახორციელებს შემსყიდველი;
18. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
  - 18.1. კონკურსანტის რეკვიზიტები;
  - 18.2. საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს ჩათვლით (შესყიდვის ობიექტის ღირებულება);
  - 18.3. ინფორმაცია დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
  - 18.4. გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების შესაბამისად შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია - ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვით, ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით: საპროექტო ორგანიზაციის დასახელება, რეკვიზიტები, განმარტებითი ბარათი პროექტის დახასიათებით, ძირითადი ნახაზები-გეგმები, ჭრილები, ფასადები;
  - 18.5. სამშენებლო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები), 3D ვიზუალიზაცია (რენდერები);
  - 18.6. ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება;
  - 18.7. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ შემდეგი ცხრილის სახით:

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ					
N	დამკვეთის დასახელება	შესრულებული პროექტის სრული დასახელება	მომსახურების გაწევის პერიოდი	დაპროექტებული შენობის მოცულობა	სტატუსი

*შენიშვნა: სტატუსის სვეტში უნდა მიეთითოს განხორციელებულია თუ არა პროექტი.*

- 18.8. ინფორმაცია საპროექტო მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული პირების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (CV-ის სახით). აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც;
- 18.9. მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული სუბკონტრაქტორების შესახებ შემდეგი ცხრილის სახით:

ინფორმაცია სუბკონტრაქტორების გამოცდილების შესახებ				
N	დამკვეთის დასახელება	შესრულებული პროექტის სრული დასახელება	მომსახურების გაწევის პერიოდი	დაპროექტებული შენობის მოცულობა

*შენიშვნა: სტატუსის სვეტში უნდა მიეთითოს განხორციელებულია თუ არა პროექტი.*

- 18.10. ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და ცნობას საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
19. საკონკურსო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: ესკიზის ვიზუალური მხარე, გეგმარების შესაბამისობა კონკურსით მოთხოვნილ პირობებთან და გარემოსა და მიმდებარე არქიტექტურასთან შესაბამისობა -0.6, საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება -0.3, საკონკურსო წინადადების ფასი-0.1.
20. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო წინადადებების შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელსაც საკონკურსო კომისიის წევრებისაგან მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა;
21. საპროექტო მომსახურების დასრულება და საპროექტო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში (აღნიშნულ ვადაში გათვალისწინებული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნის დაჩქარებული წესით გაცემის ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დააგვიანებს შემსყიდველისთვის საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მხრიდან დასკვნის გაცემის ვადის გაჭიანურების გამო, მიმწოდებელს პირგასამტეხლო არ დაეკისრება). მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 3 ეგზემპლარად, როგორც A3 ფორმატის ნაბეჭდი მასალა, ისე ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად.
22. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციისა და მასზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი);
23. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
24. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
25. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი: **გიორგი ლეკიაშვილი**

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ.

ტელეფონი: 577 18 08 81

## ტექნიკური დავალება გამარჯვებული კონკურსანტისთვის

საპროექტო მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს დოკუმენტები, რომლებიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. გეოლოგიური კვლევა-ძიება;
3. ტოპოგრაფია;
4. შესაბამისი ორგანოებიდან საჭირო ტექპირობები და ნებართვები;
5. ტერიტორიის აზომვითი ნახაზი;
6. სიტუაციური გეგმა;
7. გენგემა და ზონირება, ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება, სანიაღვრე და სადრენაჟო სისტემის მოწყობა ;
8. გეგმები, ფასადები და ჭრილები, დეტალები, კვანძები, ვიზუალიზაცია (აქსონომეტრია, პერსპექტივა);
9. ინტერიერის დიზაინი;
10. კონსტრუქციული ნაწილი-გეგმები, ჭრილები, კვანძები, დეტალები, სპეციფიკაციები;
11. შიდა და გარე წყალმომარაგება-კანალიზაცია;
12. შიდა და გარე ელექტროგაყვანილობა, სარეზერვო ელექტრომომარაგება (დიზელ-გენერატორი, ავტომატური გადამრთველით და დამცავი ნაგებობით);
13. სუსტი დენების პროექტი-
  - ა. კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები;
  - ბ. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
  - გ. ვიდეო-სათვალთვალო სისტემა როგორც შენობებში, ასევე ეზოს პერიმეტრზე;
14. გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონირების პროექტი;
15. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
16. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
17. ხარჯთაღრიცხვა.

**ობიექტის დაგეგმარების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელი მონაცემები:**

შენობის სავარაუდო ფართი 600 მ<sup>2</sup>

მიწის ფართი -1699 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდები: #88.18.26.004 და # 88.18.24.066 )

**საჯარო/საზოგადოებრივი ნაწილი (Front Office )ფართობი**

უნდა განთავსდეს შემდეგი:

სამუშაო ადგილები	სამუშაო ადგილების რაოდენობა	ფართი მ2
ოთახი იუსტიციის სახლის მენეჯერისთვის	1	10
შეხვედრების ოთახი	6	14
ე.წ „მიტერ - გრიტერი“, დამხვედრი	1	180
მიმღები მრჩეველი	1	
სწრაფი მომსახურების სივრცე	2	
ბანკის თანამშრომლები	1	
ხანგრძლივი მომსახურების სივრცე	4	
სივრცე ბავშვებისათვის;	30	
საერთო მოსაცდელი	30	
ავტომატური სისტემების სივრცე (ბანკომატები, თვითმომსახურების ტერმინალები)	30	
ფოტოჯიხურის სივრცე - 1 ცალი	30	
სველი წერტილები	30	
სივრცე ქორწინების რიტუალისთვის (ავტონომიური შესასვლელით)		50

**არასაჯარო ნაწილი (Back Office)**

უნდა განთავსდეს შემდეგი:

სამუშაო ადგილები	დასაქმებულთა რაოდენობა	ოთახის ფართი მ2
<b>სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“</b>		
თანამშრომელი (არქივის თანამშრომლები განთავსდებიან სტეაჟებიან ოთახში. აღნიშნულ ოთახის გამოყენება მოხდება როგორც სამუშაოდ, ისე არქივის განსათავსებლად)	2	15-20
<b>სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“</b>		

უფროსი	1	10
თანამშრომელი	3	20
<b>სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“</b>		
უფროსი/ თანამშრომელი	1	10
<b>სსიპ „ეროვნული არქივი“</b>		
უფროსი/თანამშრომელი	1	10

ასევე უნდა განთავსდეს შემდეგი:

- სამზარეულო - ფართობი 20მ<sup>2</sup>;
- შეხვედრების ოთახი (10 კაციანი, ფართობი - 25მ<sup>2</sup>);
- სასწავლო ცენტრი - 20 კაციანი, ფართობი - 50მ<sup>2</sup>);
- საერთო გარდერობი/გასახდელი - ფართობი 10მ<sup>2</sup>;
- საწყობები

სსიპ „იუსტიციის სახლი“ - ფართობი 20მ<sup>2</sup>

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ - ფართობი 15მ<sup>2</sup> ,ოთახს უნდა ქონდეს დაშვების სისტემა და დაცული იყოს არასანქცირებული წვდომისაგან, ოთახი არჭურვილი უნდა იყოს რკინის თაროებით და კარადით ;

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ (ავტონომიური გარედან შესასვლელით 1 ოთახი) - ფართობი 20მ<sup>2</sup>;

ლოჯისტიკის მენეჯერი და IT მენეჯერი - ფართობი 15მ<sup>2</sup>;

- მექნიკური ნაწილის მომსახურე პერსონალის ოთახი 10მ<sup>2</sup>
- ფაქტების დადგენის ოთახი სსგს-სთვის, სასურველია ფრონტ ოფისთან ახლოს, რათა საჭირო არ იყოს მოქალაქეების ბექ ოფისში მოხვედრა 15მ<sup>2</sup>
- დამლაგებლების ოთახი - ფართობი 10მ<sup>2</sup>;
- სველი წერტილები;

### სხვა დამატებითი მოთხოვნები

მიმწოდებლის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი დამატებითი მოთხოვნები:

1. სამუშაო ოთახებში უნდა იყოს გაღებადი ფანჯრები;
2. შენობას უნდა ჰქონდეს ვენტილაცია, კონდიციონერბა, გათბობა და ალტერნატიული კვების წყარო (გენერატორი);
3. თანამშრომლები უნდა განლაგდნენ შესაბამისი სამსახურების უფროსებთან ახლოს;
4. მოსაცდელი დარბაზი და დარბაზის განათება უნდა მოეწყოს არსებული იუსტიციის სახლების სტილის დაცვით (იხ. მოქმედი იუსტიციის სახლები);
5. იუსტიციის სახლის მენეჯერის და 6 კაციანი შეხვედრების ოთახი ფრონტ ოფისში უნდა იყოს იზოლირებული საერთო დარბაზისგან და უნდა ჰქონდეს მასში გასასვლელი;
6. შენობას უნდა ჰქონდეს მისასვლელი და სველი წერტილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
7. შენობის მიმდებარე საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში უნდა მოეწყოს ავტოსადგომი - 30 ავტომობილზე;
8. ქორწინების სახლი უნდა იყოს იზოლირებული შენობის საჯარო და არასაჯარო ნაწილებისაგან და უნდა ჰქონდეს ავტონომიური შესასვლელი. ქორწინების სახლი უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან სადღესასწაულო დარბაზს, სადაც განთავსებული იქნება ხელმოწერის ცერემონიისთვის საჭირო ავეჯი და

ინვენტარი; ასევე დარბაზთან ახლოს უნდა იყოს ერთი სამუშაო ოთახი ორი სამუშაო ადგილით ქორწინების სახლის თანამშრომლისთვის.

9. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მიმდებარე გარემოსა და განაშენიანებას

10. პროექტი უნდა იქნეს შემუშავებული ისე, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს მაღალი ხარისხის მასალებით, ასევე, მოწყობილობები და დანადგარები შერჩეულ უნდა იქნეს ისე, რომ მწარმოებლისგან ჰქონდეთ 3 წლიანი ექსპლუატაციის გარანტია.

11. კონკურსის შედეგების შეჯამებისას ყურადღება მიექცევა მისი შემდგომი ექსპლუატაციის ღირებულებას (გათბობა-გაგრილების, მოვლისა და დასუფთავების ხარჯებს), პრიორიტეტი მიენიჭება ეკოლოგიურად სუფთა მასალებისა და ენერგომატარებლების გამოყენებას.

**შენიშვნა:** მიმწოდებელი ადგილზე უნდა გაეცნოს იუსტიციის სახლის სპეციფიკიდან გამომდინარე შემსყიდველის მიერ წაყენებულ დეტალურ მოთხოვნებს.

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

----- (მის: -----, ტელ: -----, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №-----, ბანკი: -----, კოდი: -----, სკ-----), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი ----- სახით და ----- შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „**მხარეები**“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.8 „ექსპერტიზის დასკვნა“ - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

### 2. ხელშეკრულების საგანი

ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი -71300000)

### 3. ხელშეკრულების ღირებულება



3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

#### 4. მხარეთა ვალდებულებები

##### 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- დღის განმავლობაში.

ბ) აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე განახორციელოს პროექტში შესაბამისი ცვლილებები, ასევე ამომწურავი პასუხი გასცეს შემსყიდველის მხრიდან დასმულ შეკითხვებს;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

##### 4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

#### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებენ -----, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირების განხორციელება როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

#### 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

- ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
- ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
- გ) დაფინანსების წყარო - -----.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ ათავისუფლებს ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი**

**მიმწოდებელი**